თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7170758

ნომერი: AR11051864

თარიღი : 06.08.2024

გაცემის თარიღი : 09.08.2024

გაცნობის თარიღი : 10.08.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 189;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთო ჟორჟოლიანი პ/ნ 01001071717
- ფოცხიშვილის ქ.10

ორგანიზაცია:
- შპს სანდო კოდი: 211359858

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

2024 წლის 6 აგვისტოს №AR11051864 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 6 აგვისტოს №AR11051864 განცხადებით მომართა ავთო ჟორჟოლიანმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6356385 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანებით, №01.72.14.011.451 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა თვითმმართველობის ავტოსამრეცხაოსა და სწრაფი კვების პუნქტის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6356385 ბრძანებით, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 14 მარტიდან 2024 წლის 14 ივლისის ჩათვლით. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება, დღევანდელი მდგომარეობით, მშენებლობის ვადის გასვლიდან გამომდინარე, უკვე ძალადაკარგულია.

განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანების საფუძველზე მშენებლობის ნებართვის მიღებისა და შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ინტერესი. აქედან გამომდინარე, ითხოვს მის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

სამსახურმა, წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად, დაადგინა, რომ საჭიროა მოთხოვნის დაზუსტება არა სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6356385 ბრძანების, არამედ 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთის, დღევანდელი მდგომარეობით, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882021549553, მომზადების თარიღი: 09/07/2021 წ.) თანახმად, №01.72.14.011.451 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „სანდო“ (ს/ნ: 211359858). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22055614, მომზადების თარიღი: 06/05/2022 წ.) თანახმად შპს „სანდოს“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ავთო ჟორჟოლიანი (პ/ნ: 01001071717). შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1. დააზუსტოს მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

1.2. წარმოადგინოს, საპროექტო ტერიტორიის, დღევანდელი მდგომარეობით, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2024 წლის 6 აგვისტოს №AR11051864 განცხადება დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.